№ 174 29 მარიამობისთვე, სამშაბათი 1866—1878 29 მარიამობისთვე, სამშაბათი № 174

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ი. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲮᲐᲮᲚᲨᲘ. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ი. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲮᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს [illegible]

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონი- 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ [illegible] ᲒᲐᲡᲬᲠᲝᲗᲡ და შეამოკლოს დასაბეჭდ. გამოგზავნილი სტატიები. ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲚᲘᲚᲘ სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ, 175 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲓᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

** ᲣᲕᲔᲚᲐ გაიგებდა, რომ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ დაიჭირეს, დღეს შიგ არიან ჩვენი ჯარები. 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ თ. სვიატოპოლ-მირსკი, გენერლები ᲝᲚᲚᲝᲑᲭᲘᲝ და ნიკრიდი ჯარებით შევიდნენ ამ ქალაქში დილით. ᲐᲛᲐᲗ მიეგებნენ წინ მხიარულად. ᲓᲔᲠᲔᲘᲨ-ᲤᲐᲨᲐ და სხვა ფაშები პაჩოტნი ყარაულით გამოვიდნენ ქალაქიდამ ამათ მისაგებებლად. მცხოვრებლებიც მხიარულად მიეგებნენ და მიუტანეს პური და მარილი.

** ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲓᲐᲛ იწერებიან შემდეგ ახირებულ ამბავს:

„ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ მომრიგებელ სასამართლოში ერთმა ოსმა განაცხადა საჩივარი, რომ ერთმა კაცმა ძროხა მომპარა და ტყავი ენახეო. მოწმესების ჩვენებით მოსამართლემ გადაუწყვიტა ბრალდებულს ოთხი თვის ნაობახტი და ხუთი თუმანი და სამი მანეთი ჯარიმა. ბრალდებული არ დათანხმდა ამ გადაწყვეტილებაზედ და გადიტანა აპელაცია. რა არა გაეწყო რა, ბრალდებულის გულ დამწვარმა დედამ მოიგონა ერთი ღონის ძიება: ᲝᲡᲔᲑᲘᲡ პირველ ᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ (რომელიც ახლა აღკრძალულია) შორ სოფლიდამ მოიყვანა ვირი შუა სოფელში და დაიძახა:

— ᲔᲡ ᲕᲘᲠᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲔᲙᲣᲠᲗᲮᲝᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ, ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲡ და არ გამოაცხადოსო!

ᲘᲛ ᲡᲐᲐᲗᲨᲘᲕᲔ გამოჩნდა ერთი კაცი და სახალხოდ გამოაცხადა, რომ ამ დედაკაცის შვილი ამ საქმეში სრულიად მართალი არის, რომ ის ძროხა ოთხმა კაცმა მოვიპარეთ პატრონის განზრახულობით, რომელმანც სამ-სამი მანეთი დაგვირიგა, რომ ჩემი ძროხა თქვენ შესწამეთ და იმისი ნიშნები იმ კაცისას მიიტანეთ და თქვენ მოწმეებათ დამიდექით, რომ იმას უჩივლოდეო. ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲓ ძროხის ქურდები ჩვენა ვართ და ის აკი ტყუილა ისჯება ცრუ მოწმობითაᲝᲡ გარემოება ბრალდებულმა განაცხადა სასამართლოში და ის გაამართლეს“.

** ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ ამასწინათ სოფ. ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲨᲘ ერთმა გლეხმა გამოატარა საქონელი ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ წასაყვანი გასასყიდად. ᲔᲡ გლეხი ამ ლამეს იქ დარჩა დუქანში. ᲐᲛ დროს მოვიდა იქ იმ კვირაში ამორჩეული მილიციონერი. ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ დროს მილიციონერმა გამოართვა იმ გლეხს რევოლვერი, რომელიც იმან ჯიბიდამ ამოიღო, და დაუწყო შინჯვა. როცა უკან დაუბრუნა რევოლვერი პატრონს, იმან ჩახმახში მოჰკიდა ხელი, რევოლვერი გავარდა და მოხვდა მილიციონერს გულში. ᲑᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ დოქტურის მოსაყვანად, [illegible]

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ

(„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ“)

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ, 22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ..

ᲔᲡ არის ᲝᲖᲣᲠᲗᲔᲗᲨᲘ მოველი.

მაგრამ ვაი ამისთანა მოსვლას და უი ამისთანა მგზავრობას! ᲩᲔᲛᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲨᲘ არაფერი თავის ადგილზე აღარ უნდა იყოს, ისე საშინლათ დამანტერია, დამქანცა და დამამჟღლია საძაგელმა გზამ საᲛᲢᲠᲔᲓᲘᲝᲓᲐᲛ თითქმის სულ ᲝᲖᲣᲠᲗᲔᲗᲐᲛᲓᲔ.

საძაგელი გზა! ᲥᲕᲔᲑᲘ, ᲝᲠᲝᲠᲝ-ᲩᲝᲠᲠᲝᲔᲑᲘ, ᲢᲐᲚᲐᲮᲘ. ᲘᲐᲠᲔ ამისთანა გზაზედ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲢᲠᲝᲠᲘᲙᲘᲗ! ᲜᲔᲢᲐᲕᲘ იმას, ვინც ამ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐᲡ გადარჩენია!

ᲑᲣᲨᲘᲜ თ. სვიატოპოლკ-მირსკიმ გამოიარა ამ გზაზედ და, როგორც მითხრეს, დიდი რისხვა მიუღია იმისაგან საპიორებსა და სამხედრო გზების ინსპექტორს უფ. ᲕᲐᲮᲠᲐᲛᲝᲕᲡ. ᲐᲮᲘᲪ არიან მედა ჩემმა ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ. . .

ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲓ, საპიორებს გარდა, თითქმის ნახევარი ᲖᲣᲠᲘᲐ ამ გზის გასაკეთებლად გამოგზავნილა. ᲓᲔᲓᲐ-ᲙᲐᲪᲔᲑᲘ და 8-10 წლის ყმაწვილებიც კი გამოსულან და მდ. სუფსის და ᲩᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ნაპირას აგროვებენ კალათებით ქვებს და მოაქვთ გზაზე თავიანთ ქმრებისა და მამებისათვის დასამტვრევად.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ მისაველელ გზას ვამზადებთ. . .

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ვახსენე და არ შეიძლება, რომ ᲝᲖᲣᲠᲗᲔᲗᲨᲘ მყოფმა კაცმა ამ ჟამად ᲑᲐᲗᲣᲛᲘ არ ახსენოს, რადგან ყველგან და ყველანი მუდამ იმაზედ ლაპარაკობენ.

ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ჯარებმა გუშინ, 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲩᲐᲘᲑᲐᲠᲔᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘ, გამოჩენილი, საშინელი, დამფეთებელი ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘ, ანუ ᲫᲐᲯᲕᲗᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔ, რომელმანც ამდენი ᲛᲮᲔᲠᲝᲞᲚᲘ მოგვთხოვა ᲩᲕᲔᲜ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ 11-12 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ და წელს 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ და რომელიც ახლა ᲮᲛᲐ ამოუღებელად, თოფის გაუსროლელად დაგვნებდა.

ᲓᲦᲔᲡ დილით წავიდა აქედამ ᲮᲣᲪᲣᲑᲐᲜᲨᲘ თ. მირსკი; აქედამ ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲖᲔ უნდა წავიდეს. ᲠᲘᲝᲜᲘᲡ მხრის ჯარების უფროსი ღენ. ᲝᲚᲚᲝᲑᲭᲘᲝ და ᲖᲣᲠᲘᲘᲡ ატრიადის უფროსიც ღენ. ᲐᲚᲢᲐᲖᲝᲕᲘ იქ არიან.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ დაჭერაზედ ᲑᲔᲕᲠᲡ სხვა-და სხვა ამბავს ლაპარაკობენ.

ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ნაწილი ამტკიცებენ, რომ ჩვენი ჯარები უეჭველად 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ უნდა შევიდეს იქაო, იმ დროისათვის ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ ატრიადი უნდა მოვიდეს და ის შევა პირველად ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘᲝ.

სხვები ამტკიცებენ, რომ 5 სექტემბრამდინ კიდევ დროება, ვადა ითხოვესო და ამ რიცხვამდინ ჩვენი ჯარები არ უადა შევიდნენო. ᲩᲣᲛ-ᲩᲣᲛᲐᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ვითომც ᲫᲝᲑᲣᲚᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘ და ᲚᲐᲖᲔᲑᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲔᲜᲝ, რომ წინა აღმდეგობას აგაუწევთ რუსებსაო, ტყუილს ამბობენო, თოფ-იარაღი მზათა აქვთ და როგორც ჩვენი ჯარები შეველენ, გზაზე გადაგვიდგებიანო.

ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, რომ ეს დაფრთხალი ტკბილის მოგონილი ამბავი და უფალოᲨᲘᲨᲘᲐ: ნამდვილად ამბობენ, რომ 10,000 კაცმა ᲚᲐᲖᲔᲑᲛᲐ და ᲫᲝᲑᲣᲚᲔᲗᲔᲚᲔᲑᲛᲐ, საწინააღმდეგოდ მომზადებულებმა, დაჰყარეს თოფ-იარაღი და დამორჩილდნენ თავის ᲑᲔᲓᲡᲐᲝ.

ნად ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, მაგრამ სანამ ეს შუა გზაზედ მოვიდოდა, მილიციონერი მოკვდაო.

*** „ᲗᲣᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲑᲔᲡ“ სწერენ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ, რომ აქ მორიგების შემდეგ ძალიან დაიწია სხვა-და-სხვა ხორაგეულის ფასმაო, მაგალ., ომის დროს ფუთი ფქვილი 2 მ. და 50 კაპ. ღირდა, ეხლა ღირს 1 მან. და 40 კ., სომარი (20 ფუთი) პური—32 მან., ეხლა 20 მან., სომარა ქერი—28 მ.,—ეხლა 16 მან., ურემი შეშა—30 მანეთი, ეხლა 20 მანეთი, გირვანქა ძროხის ხორცი—15 კაპ., ეხლა 7 კ., გირვანქა შაქარი 30 კაპ. და ეხლა კი 22 კაპ. და სხვა.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ, 20 მარიამობისთვეს. ᲐᲮᲚᲐ კი თავდება ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲨᲘ არისტოკრატიული კურსი. ᲐᲡᲔ რომ ამ თვის დამლევამდე თითქმის სუყველანი გალაგდებიან. ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲓ იწყობა ესრედ წოდებული „კრასნიკურსი“ და ᲛᲝᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲒᲐᲜ და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან უფრო საშუალო წოდების და სოფლის ხალხი. მუშა სოფლის ხალხი ვიდრე მინდერებს არ გაათავებს და ჭირნახულს ორმოში არ მოაქცევს იშვიეთათ მოდიან. ᲘᲡᲘᲜᲘ უცდიან უფრო ხალვათობას აბანოებში. ᲑᲔᲕᲠᲛᲐ კარგი შთაბეჭდილება წაიღო აქაურობიდგან და რასაკვირველია ბევრიც რომელიმე მიზეზით გული აღრენილი გასწევდა შინასკენ. ᲫᲠᲘᲔᲚ კაი ქეიფები სწიეს აქ მყოფ ქართულ არისტოკრატიულ საზოგადოებამ. ᲑᲔᲕᲠᲘ კარგი „პიკნიკები“, სეირნობა და ქართული ნადიმობა გამართეს ᲝᲪᲮᲔᲡ ნაპირებზე ბუნებით მშვენივრად შემკულ ფიქვნარებსა და ნაძვნარებში. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ყველაზედ ყურადღების მისაქცევი ამ ქეიფებში ექვს მარიამობისთვეს—ფერისცვალობას გაიმართა „საზოგადო სეირნობა“ სადაც საზოგადოება ნებაყოფლობით სწირამდა ფულს ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ქალების უფასო შკოლის სასარგებლოთ. ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ 433 მანეთამდე იყო, და გასავალი 163 მან., დანარჩენი ფულით რასაკვირველია ფერი ეცვლება ხსენებულ შკოლას.

ᲔᲡ ფრიად სასახელო, სასიამოვნო, სასიხარულო და სასარგებლო „სეირნობა“ გაიმართა ჩვენს ლიტერატურაში არა უცნობ ღირს პატივცემულის ᲐᲜᲜᲐ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲝᲕᲘᲡ თაოსნობით, რომელშიაც მიიღეს გული მხურვალე მონაწილეობა ქნა. ნინა ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲛ, ᲙᲜᲘᲐᲖ. Მ. ᲑᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐᲛ, გენერალ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘᲡ ქალმა და სხვათ. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ძრიელ თანაუგრძნო ამ საქმეს და არ იშურებდა შესაწირაესაც, ბევრს 25 მანეთობიდ შეუწირავს და როგორც ამბობენ კნ. ᲓᲐᲓᲔᲨᲙᲔᲚᲘᲐᲜᲡ 40 მანეთამდე. — „ᲑᲐᲭᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ“ ქეიფებიც ბევრი იყო: სხვაია შორის, ერთმა „კნიაზმა“ გასტენიცაში ერთ სადილში თექვსმეტი თუმანი (160 მ.) დარდმანდულად გადუყარა მირაქიანცს! რა იქნებოდა იმ დალოცვილ „კნიაზს“ იმ ფულის მეოთხედი ჩვენი ღარიბ შკოლებისთვის შეეწირა. ᲕᲘᲜ იცის, იქნება დიდი ფილანტროპიც იყოს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ კაცს ძნელათ სჯერა ფილანტროპისაგან ამ გვარად ფანტაზიისთვის მსახურება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ სცენის მოყვარეთ გულით მოისურვეს იმავ შკოლის სასარგებლოთ წარმოდგენა გაემართათ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ სურვილი-საქმეთ-ეელარ გარდიქცა.

„ᲞᲔᲞᲝ“ უნდა წარმოედგინათ, მაგრამ თითონ „ᲞᲔᲞᲝᲡ“ როლის კარგათ მოთამაშე ვერ მოიძია. . . .

ᲐᲛ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ნახევრამდე კი თბილი დღეები იდგა, მაგრამ შემდეგ წვიმები მოჰყვა და დილა საღამოს ძრიელ საგრძნობლათ ცივა, ასე რომ როტონდის „დამა-კავალერებს“ ძრიელ მოუშლის ხოლმე სიამოვნებას. ᲬᲕᲘᲛᲐ სიცივეები, კარგ სახლების უქონლობით, სხვა მხრითაც გეიშლიან. ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ წრეულსვე მთელს ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲡ გადათხრას უპირებენ და მთავრობა ამ სახლის პატრონებს შენობის ფასს აძლევს, ამის გამო ყურადღება აღარ მიუქცევიათ თავიანთ ქონებისთვის და სართულებს ცხავივით ჩამოსდის წვიმის წყალი. ᲫᲔᲠᲫᲝ პირებს მთავრობა აბანოების დაშორებით ცალკე უჩასტკებს აძლევს და ძალიან ბევრი მუშტარიც მოიძიება. ხსენებულს უჩასტკებში ოთხიოდ კარგი კაპიტალური დაჩები უკვე გაუმართნიათ.—ᲛᲘᲗᲘᲡ სიტყვით დიდი გადაკეთება მოელის ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲡ. ასე რომ სამიოდ წლის შემდეგ თავის ხელოვნური მოწყობილობით, ბევრს საუკეთესო ევროპიის საზაფხულო დაჩებს არ ჩამოუვარდება და რაც შეეხება ამ ხეობის მდიდარ ბუნებას და აბანოების სამკურნალო თვისებს, რასაკვირველია ევროპაში ამისდაგვარი ბევრი არ მოინახება. ᲯᲔᲠ ჯერობით აქ გაცხარებული მუშაობა მიდის ერთს დიდ ორ სართულიან ქვითკირის შენობაზე, რომელიც შეიცავს სიგძით 40 და სიგანით 10 საჟენს.

ᲐᲛ შენობაში უნდა მოუყარონ თავი სამიევე მადნეულ წყლებს: „ᲑᲝᲚᲝᲢᲘᲠ-

---

ᲐᲛ დამორჩილებაზედ და თოფ-იარღლის დაყრაზედ, უეჭველია, დიდი გავლენა ჰქონდა თ. ᲑᲠ. ᲑᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ გაგზავნას ᲭᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ, რომელიც იქაურ ხალხს ასე უყვარს და რომლისაც ყოველი სიტყვა სჯერათ.

ᲡᲣᲚ, ამბობენ, ჯერ-ჯერობით ორას ოჯახზე მეტი არ გადასახლებულაო. ᲑᲔᲕᲠᲘ აპირებდა კიდევ წასვლასაო, მაგრამ ᲑᲠ. ᲑᲣᲠᲘᲔᲚᲘ რომ დაინახეს, შეჩერდენო.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲓᲐᲛ მოსული მოლლები ვინც ყოფილან, თითქმის ყველანი უკანვე დაბრუნებულან ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ.

ᲛᲔ მიამბეს, რომ ამ დღეებში ასიოდ ოჯახი მოგროვილიყო ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ზღვის ნაპირას ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲖᲔ დასხდომას აპირებდნენ, იმ დროს ვიღაც ქობულელი მოლლა მოვიდა და უთხრაო:

— ᲡᲐᲓ მიდიხართ, თქვე უბედურებო! ᲐᲠ იცით განა რა დაემართათ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲡᲐ და ᲐᲑᲮᲐᲖᲔᲑᲡ? ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ის ბედი მოგელისთ!

ᲐᲛ სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება იქონია ამ ხალხზე თურმე, რომ იმწამსვე თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

ᲘᲥᲐᲣᲠᲡ ხალხში გავრცელებულია ხმა, რომ რუსები სარწმუნოების საქმეში და ოჯახში შეგვავიწროებენო. ᲐᲛᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲗᲗ ამათ ყველაზე უფრო.

ᲐᲮᲚᲐᲓ შესული რუსის მთავრობის მოვალეობა იქნება, დაუმტკიცოს ხალხს, რომ ეს ხმები მოჭორილი, უსაფუძვლო ხმებია.

ᲫᲚᲘᲐᲜ კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი დრუჟინის ჯარებიც წაეყვანათ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ. ᲠᲐᲪ უნდა იყოს, ჩვენ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ისინი მაინც უფრო გვიცნობენ, უფრო თავის ძმებად მივაჩნიენართ და ამიტომაც უფრო გვენდობიან. ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ჯარების დანახვა იმათ უფრო დაარწმუნებდა, რომ რუსები მართლა იმათი ქვეყნის ასაკლებლად და ასაოხრებლად, იმათი სარწმუნოების შესაავიწროებელად არ მიდიან იმათთან.

ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ეს გარემოება არ მიუღია მხედველობაში ჩვენს სამხედრო მთავრობას: არც ერთი სოტნა ჩვენებური ჯარისა არ მიჰყავთ ახლად შეძენილს ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

ᲔᲠᲗᲘ ახირებული ამბავი მითხრეს: ახლა, როდესაც ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ᲪᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘ და ჩვენმა სამხედრო კაცებმა დაათვალიერეს ეს საშინელი სიმაგრე, აღმოჩნდაო, რომ ერთის მხრით ისე სუსტად ყოფილა ის გამაგრებული და ისეთი მისადგომი მხარე ყოფილაო, რომ ამ მხრით ადვილად შეიძლებოდა იმის აღებაო! ᲩᲕᲔᲜ კი 11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐ და 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ კლდეებზე მივამტვერეთ შუბლები და, რასაკვირველია, ვერა გავარგეთ-რა...

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, რომ ᲑᲣᲠᲘᲐᲨᲘ სულ ოთხი დრუჟინა იყო მოკრებილი: აქედამ ორი, რომელშიაც უფრო მომეტებული უწესოება ნახეს, ე. Წ. თ. ᲛᲐᲛᲘᲐ ᲑᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ და თ. ᲓᲐᲗᲐ ᲫᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, დაითხოვეს. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ორი—თ. ᲘᲐᲡᲡᲔ ᲑᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ (?) და თ. ᲓᲐᲗᲐ ᲑᲣᲒᲣᲜᲐᲕᲐᲡᲘ ჯერ-ჯერობით არ არიან დათხოვნილი.

ᲮᲕᲐᲚ ვაპირებ ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ. ᲑᲐᲕᲘᲔᲚᲘ ᲛᲣᲮᲐ-ᲔᲚᲘᲡᲢᲐᲢᲔᲖᲔ, ᲮᲣᲪ-ᲨᲐᲜᲖᲔ და ᲪᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲖᲔ; აქედამ, თუ არაფერი მოულოდნელი დაბრკოლება არ აღმოჩნდა, ჩვენ ჯარებთან ერთად მინდა ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲫᲔᲡᲚᲐ...

Ს. Მ.

სკის“ (გმირულ) „ზმეინის“ (გველურ) და „ზალატუშნის“ სატკბურიანი.

ძირის ეტაჟაში გაიმართება ვანნები და ზემოთ ოთახები კერძო პირებთა—საძკურნალოთ მოსულებთათვის. წრეულსვე დაიწყობა მრავალი სხვა გვარი შენობები და ბაღები. როგორც ნამდვილ წყაროებიდგან ისმის ხაშურიდგან ახალციხემდე რკინის გზა და ახალციხიდგან აბასთუმნამდე ცხენის რკინის გზა ამ რამდენიმე წელში გაიმართება. ახალციხიდგან ძუთაისამდე ამ ხეობით შოსსეს გზა კი ამ რამდენიმე თვეში მზათ იქნება, მხოლოდ ხიდებზეა საქმე შემდგარი.

ღვთის წინაშე აქამდინაც ღირსი იყო ეს აბანოები და მისი გარემორტყმული სამოთხიური ბუნება ამ გვარი ყურადღების მიქცევისა. . . .

Ილ. Ალხაზაშვილი

წერილი რედაქტორთან

საჭიროა თუ არა ნიგოზი და ნიგვზის ხე?

ბატონო გაზეთის ოსტატო! ბოდიშ-ითხოვთ უმორჩილესათ, რომ ეს ჩემ მიერ თქვენთან მოწერილი შენიშვნა გარანდოთ, გაასწოროთ და მერე ისე გადასცეთ თქვენი გაზეთის მკითხველებს, თუ საინტერესოთ ნახოთ მათ თვისაც.

საქმე აი რაში მდგომარეობს: ეს ნიგვზის ხეები, რომლებიც ჩვენს მამა-პაპებს დაურგამთ ვენახებში და მინდვრებში მხოლოდ იმისთვის, რომ გაზაფხულის სიცხეებში მოეჩრდილებინათ ამათ ქვეშ თავი და შემოდგომაზე დაებერტყათ და ამის ნაბერტყი ნიგვზით შეენელებინათ თავიანთ საყვარელი ლობიოს შეჭამანდი და ახალ წლის ტაბლა და თუ წითელა ან ყვავილი შეეყრებოდა უნდა ბაზმა დაენთოთ იმავე ხიგვზისა.

აი მხოლოთ ამისათვის დაურგამთ ჩვენ მამა-პაპებს კაკლის ხეები, რომლებსაც ეხლა ვხმარობთ სახლის მოწყობილებისთვის (ძებილისთვის) სხვა-და-სხვა ჩუქურთმებით და ლავგარდნებით სახლის დასამშვენებლათ, ესეები სრულებით არა სცოდნიათ ჩვენს მამა-პაპებს, თორემ უთუოთ შეუდგებოდნენ ამ ხის გამრავლებას. იმათ რათ უნდა დავემდურნეთ, რომელიც დღემდინაც ჩვენი მამულის პატრონებს არავის მოსვლია თავში აზრათ რომ შესდგომოდნენ ამ ყოვლად საჭირო ხის გავრცელებას, რომლითაც არც იზარალებდნენ და ბოლოს სახელსაც დაიმსახურებდნენ ამ საქმის შესრულების გამო.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მთელ რუსეთ საბრძანებელში საქართველოსთანა ნამყოფიანი მიწა არ სად არ არის, რომ ჩვენ წესიერათ ეხმარობდეთ მას, შეგვეძლოს მოვლა და არ ვაგდებდეთ ძალაუნებურათ უცხოელების ხელში, რომლებიც ჩვენის ოფლით ჩვენვე გწვენ თვალებს.—როგორაო? ვიცი იკითხავთ.

რაღა როგორ, ბატონო, გადმოვა რომელიმე ფრანცუზი ან ანგლიჩანი და დაივლის მთელ საქართველოს, შეისყიდის კაკლის ხეებს და მის კოჟიტებს, რომლებსაც მდგმოიარე ხეებს აჭრიან და მიაქვთ თავიანთ ქვეყნებში, იქ ხერხვენ თხელ ფურცლებათ (ფანერკათ), მერე მოაქვთ და ჩვენ ხელოსნებზედვე ჰყიდიან ერთი-ორათ და სამ ფასათაც; მაგრამ ჩვენ ხელოსნებს იაფათაც ეჩვენებათ, რადგანაც თითონ არა აქვთ ღონის ძიება და არ იციან ამ გვარი ფურცლების გაკეთება და ან საიდამ ეცოდინებათ, რომ საქართველოს გარეთ არსად არ მიდიან და კმაყოფილდებიან მხოლოდ იმითი, რასაც ისწავლიან აქა თავიანთ უპრაქტიკო ოსტატებისგან.

თუ ეს ასე იქნა, ჩვენ თითონ მოგვინდება ძებნა შორს ალაგებში, რომელიც უკანასკნელ სამას კაცს მაინც აჭმევს პურს მარტო თფილისში, მაგალითათ დურგალს და ჩუქურთმის მჭრელს (რეზჩიკს) ხუროს ნუ ვიანგარიშებთ.

რას იტყვით, ბატონო გაზეთის ოსტატო, ღირსია ყურადღებისა, თუ არა! თუ ეხლავე არ შეუდგნენ ჩვენი მამულის პატრონები ნიგვზის გამრავლებას მერე გვიან-ღა იქნება, ისე რომ თუ ეხლა ას ფუთობით მიაქვთ სამზღვარ გარეთ და რუსეთში, ამას იქით ორას ფუთობით წაიღებენ რკინის გზის შემწეობით, როდესაც ის რუსეთს შეუერთდება ხმელეთით, აბა მაშინ გაგვიძვირდება კაკლის ხე, თორემ ეხლა რა არის! წარმოიდგინეთ, ბატონო, რომელი ფიცარიც დღემდი მანეთათ ისყიდებოდა, ის ეხლა სამ-ოთხ მანეთათ ფასობს, ისიც ჩარჩებთან, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ გვიხვდებიან ყველას. აბა რა უნდა ვჰქნათ საწყალმა ხელოსნებმა, რითი შევინახოთ ცოლ-შვილი! მე საჭიროთ ვნახე, რომ შემეტყობინებინა ეს ანბავი და ახლა თქვენ იცით, როგორც დაგვეხმარებით და ურჩევთ ჩვენ, მამულის პატრონებს, თუ როგორ და სად უნდა შეუდგნენ ამ ხის გამრავლებას.

დავშთები თქვენის კეთილის მოსურნე
ხელოსანი.

მართლაც და ურიგო არ იქნებოდა, რომ შეუდგებოდნენ ამ სასარგებლო ხის გამრავლებას ჩვენი მამულის მეპატრონენი იმ ალაგებში, რომლებიც უფრო უქმი ალაგებია, როგორც მაგალ. წყლის პირებში, სადაც ეს ხე ძალიან ხარობს და აგრეთვე ტყეებში, სადაც დიდი შრომა არ მოუნდებათ მოვლისათვის. დარგვის გარდა რასაკვირველია შეიძლება დასთესონ კაკალი. მარტის დამდეგს შავს და მსუქან მიწაში უნდა დაითესოს თხელ ნაჭუჭიანი კაკალი, ხოლო სქელ კანიანი შემოდგომაზედ.

რედ.

ომის შემდეგ

რუსეთი

რუსული გაზეთების სიტყვით, ვარნა თათრებისაგან უკვე დაცლილია. რუსის პოლკებმა №№ 65 და 66 დაიჭირეს გარეგანი მხარე, დივიზიის დანარჩენმა ნაწილმა თითონ ციხე.

— სტამბოლიდამ აცნობებენ ვენის გაზეთს „Pressə“. რომ გენერალმა ტოტლებენმა სრულიად უარ ჰყო პორტის მოთხოვნილება ბურგასის დაცლის თაობაზედ, რადგანაც ეს ნავსადგური მიუცილებელი საჭიროა რუსებისთვის ბოლგარიაში ჯარების შესანახავად.

რაზლუკასთან რუსები აბანაკებენ ჯარებს, რომლებმაც უნდა იმოქმედონ ინსურგენტების წინააღმდეგ როდოპის მთებში.

— „მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან ვენიდამ, რომ სარაევოს აღების დროს დაატყვევეს 55 ოფიცერი, 830 სალდათი, ნიზამები, და ბაში-ბუზუკები, რომლებიც წაიყვანეს ბროდში. ბევრი დამარცხებული ინსურგენტების შაიკაც დაატუსაღეს.

— „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ სწერენ სტამბოლიდამ 26 აგვისტოს, „რომ გენერალ ტოტლებენი სანსტეფანოს დაცლის შემდეგ თავის უმთავრეს სადგომს გაიტანს ვარნაში. იმას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანებში ნახოს ვარნა და შემდეგ გაიაროს შუმლაში იმ მიზნით, რომ დაათვალიეროს აქაური სიმაგრეები.

— იმავე გაზეთში იქიდამვე იწერებიან, რომ 12 გემმა 18,000 რუსის გვარდიის სალდათებით უკვე გაიარა ბოსფორში ოდესსისაკენ. ბვარდიის მაგვირად სამზღვრის პოზიციებზედ მიდიან ბოლგარიიდამ ახალი რუსის ჯარებიო.

— „ახალ დროებაში“ სწერენ ბერლინიდამ 20 აგვისტოს, რომ იქ რუსის სტუდენტებს გაუჩხრიკეს სადგომები და რამოდენიმე კაცი დაატუსაღესო.

ოსმალეთი

— სტამბოლელი კორრესპონდენტი „პოლიტიკური კორრესპონდენციისა“ იწერება 24 აგვისტოდამ, რომ თუმცა სარაევოს აღება ოთხი დღეა რაც შეტყობილი ჰქონდა პორტას, და დიპლომატიურ წრეს, მაგრამ სულთანს მაინც არ უნდოდა რწმუნებოდა და ბრძანა ტელეგრაფით დაჰკითხებოდნენ ვენაში. მოვიდა თუ არა ნამდვილი ამბავი, აბდულ-ჰამიდი საშინელ აღელვებულ მდგომარეობაში მოკვდაო.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 24 აგვისტოს. ისმის, რომ სამი კვირის განმავალობაში ინგლისის პარლამენტი იქნება დათხოვნილი და მმართველობა ჰხედავს საუმჯობესოდ მოახდინოს აღმოჩენა ძველი სიებით, არა ახლებით.

პეტერბურგი, 26 აგვისტოს. სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ მეორე აღმოსავლეთის სესხის აბლიგაციებზედ ხელის მოწერამ, რომელიც მოხდა 17, 18 და 19 მარტამბისთვეში ყველა კანტორებში და ბანკის განყოფილებებში, აგრეთვე ტულისა და ვარშავის ბანკებში, შეადგინა 304.383,000 მანეთი, 4.383,000 მანეთით მეტი იმაზედ, რამდენსაც მოელოდნენ, და აღმოწერა ნამდვილი აბლიგაციებიდამ მოხდება სექტემბრის დამდეგს.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96	87
მეორესი — — — —	95	75
მესამესი — — — —	95	50
მეოთხესი — — — —	95	„
აღმოსავლეთის — —	93	12
ოქრო, ½ იმპერიალი—	7	94
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	234	50
მეორე სესხის — — —	235	25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	25— „ პენსი
ამსტერდამი— —	126— „ ცენტი
ბერლინი— — —	212—75 ფენინგი
პარიჟი — — —	26— „ სანტიმი
შავკასიის კერასინი	2—45
ამერიკის — — —	3—15

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნ. მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

მიხელსონის სტამბაში,

რომელიც იმყოფება ბალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი**, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

ბიბლ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ეყიდება:

„ნიწრ“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

ფასი 15 კაპეიკი.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი **სახელმძღვანელო წიგნი** (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება ქავკაზის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვარილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორ. . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან.	კაპ.
ოქი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, წყალტუბოს, სილნაღს . .	—	50
როსტოვი, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ , შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნის	4	
დაბეჭდილის (ამი მისხალი) .	8	

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 22 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	35
ბაზა ერევანისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	40
ბაპენტალი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	8	50
—მარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონ , ფუთი	6	—
ქონის სანთელი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	50
თამბაქო, ნაუ ლო ფთ.	12	—

თფილისის სამკურნალო	
ერევნის მაიდანზე, წ ნამძღვაროვის სახლებში.	
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათიდამ 10-მდინ.	
ორშაბათს: ვერმიშევი და ბარ ლევიჩი—შინ გ. ავად., ძიუჩარიანც—თვალის და ხარუტგიულ.	
სამშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ. ბაქსტი ენერგიულისა და კანის	
ა. ბ ხუტოვი—საბებო და ბავშვის,	
პეუნოვი—თვალის.	
ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების	
ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, ძიუჩარიანცი— ინფილტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბ ხუტოვი — ქალის, და ნერვების.	
პარასკევს: ვერმიშევი-შინ. გ., ა. ბახუტოვი--ქალის და ბავშვების.	
შაბათს: ვერმიშევი შინ გ., ბაქ. ტი-გულ სა და პეუნოვი—თვალის.	

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Августа 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.